ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №11

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000034)

ქ. თბილისი 01 აპრილი 2017 წელი

ერთი მხრივ სსპ ბღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. მანანა გურგენაძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ჯეოსელი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის **მალხაზ ჟორჟიკაშვილის** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, ,,2017–2018" წლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის N2337 განკარგულებისა და ,,ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანების საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2017–2018 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000034) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის თანამშრომლებისა და არათანმშრომლების (დანართი N1-ის შესაბამისად) ნომრებზე (შემდგომში – სააბონენტო ნომრები) მობილური სატელეფონო მომსახურების (შემდგომში მომსახურება) გაწევა (CPV კოდი: 64212000) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული CON170000034 სატენდერო დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობებითა, ტარიფებით და მიმწოდებლის მომსახურების გაწევის სტანდარტული პირობების შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ოპერატორის ვებ-გვერდზე.

1.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადაიხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.3. მიმწოდებელი შემსყიდველის სააბონენტო ნომერზე ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების N2 დანართით (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) გათვალისწინებულ მომსახურებას.

1.4. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების დანართ N1-ში მითითებული ჯგუფების მიხედვით წარუდგინოს მიმწოდებელს სააბონენტო ნომრების სია, რომელთაც მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 150 ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. სააბონენტო ნომრებიდან, საქართველოს ნებისმიერ საკომუნიკაციო ქსელის ან/და მომსახურების გამწევის სატელეფონო ნომრებზე, რომლებზეც მიმწოდებლის ან/და მომსახურების გამწევის მიერ დაწესებულია სპეციალური ტარიფი, ზარის განხორციელების შემთხვევაში, მათ შორის, ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელის ტრანზიტით (მაგ. 10 07; 10 18 და ა.შ.), საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ზარის განხორციელებისას, არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარიფები.

3. თანამშრომლების ნომრების მომსახურებაზე ანგარიშსწორების წესი

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.2. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის პირველ 10 რიცხვამდე. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის

- შემსყიდველის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. შემსყიდველს, ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, უფლება აქვს მიმწოდებლისაგან შეისყიდოს მომსახურება წინასწარი გადახდის (მაგ. წინასწარი გადახდის ბარათები) პირობით.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო, ხოლო როუმინგის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყანა.

4.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 01 აპრილიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.3 ხელშეკრულების ვადის გასვლის და/ან ცალკეულ სააბონენტო ნომერზე შემსყიდველის ინიცირებით ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გაუქმდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სახის მომსახურება, მათ შორის, გაუხარჯავი პაკეტები (ერთეულები).

5. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

5.1 **შემსყიდველი უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს მომსახურების შეჩერება ერთ ან რამოდენიმე სააბონენტო ნომერზე გარკვეული ვადით, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს;

ბ) მოითხოვოს მომსახურების გაუქმება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს 30 კალენდარული დღით ადრე;

გ) მიმართოს წერილობითი განცხადებით/პრეტენზიით მიმწოდებელს სატელეფონო საუბრის გადასახადთან დაკავშირებით. პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. წერილობითი პრეტენზია უნდა წარედგინოს/მიეწოდოს მიმწოდებლის მომსახურების ოფისებში (რომლებიც მითითებულია სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე გამოქვეყნებულ მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში) მითითებული მისამართების მიხედვით. შემსყიდველის მიერ წარდგენილი განცხადება/პრეტენზია მიმწოდებლის მიერ განხილული იქნება მიმწოდებლის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით, შესაძლოდ უმოკლეს ვადაში, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარდგენილ განცხადებაში/პრეტენზიაში ასახული ტექნიკური და ადმინისტრაციული მოთხოვნების სირთულეზე, მაგრამ არაუგვიანეს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებისა.

დ) მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმართოს 2017–2018 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში სატენდერო კომისია) ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

5.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) გადაიხადოს თანამშრომლების ნომრების მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ტარიფების დაცვით;

ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სრულად დაფაროს მიმწოდებლის მიმართ არსებული დავალიანების ის ნაწილი, რომელიც აღიარებული იქნება შემსყიდველის მიერ.

გ) ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მის რეკვიზიტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5.3 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველისათვის უმჯობესდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, შეცვალოს ანგარიშსწორების ტარიფები, რის შესახებაც არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობებს შემსყიდველს;

ბ) მომსახურების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლო კალენდარულ დღეს დავალიანების მქონე სააბონენტო ნომერს (ნომრებს) შეუზღუდოს(გათიშოს ნომერი) მომსახურების მიწოდება და 45 კალენდარული დღის განმავლობაში შეზღუდვის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, გამოიყენოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის მე-14 მუხლი და ამოიღოს წარმოშობილი დავალიანება მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად. შემსყიდველის მიერ მის ბალანსზე არსებულ სააბონენტო ნომრებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელის, მათ შორის ,,112"–ის მომსახურების საფასურის არ გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია სააბონენტო ნომერს (ნომრებს) შეუზღუდოს მომსახურების მიწოდება;

გ) ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით მიმართოს სატენდერო კომისიას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შემსყიდველი, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან მის გარეშე,

- მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით (მოგების მიღების მიზნით).

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები, მათ შორის სატენდერო კომისიის შესაბამისი მითითების საფუძველზე, და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს მიზეზის წარმოშობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის, ასევე შემსყიდველისათვის საჭირო სხვა საკითხების (რომელიც მიმწოდებლის მიერ გასაწევ მომსახურებას შეეხება) შესახებ;

გ) დაიცვას მომსახურებაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური ნორმები;

დ) მომსახურება მიაწოდოს დღე–ღამის 24 საათის განმავლობაში (ამასთან ერთიანი უწყვეტი ზარის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს), უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და, რომელიც შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს. რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, რადიოსიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს, განსაკუთრებით შენობებში, გვირაბებში, ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური ან სხვაგვარი თავისებურებიდან გამომდინარე;

ე) 1.4 პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მე–2 სამუშაო დღისა დაიწყოს მომსახურების მიწოდება (ქსელში ჩართვა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

ვ) მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის, უხარისხოდ მიწოდების ან 5.4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს კომპენსაცია უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში შემსყიდველის მიერ 1 საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტიურად მიღებული მომსახურების საფასურის 1 პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე 5.4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ 5.4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს კონპენსაცია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მთლიანად მიღებული მომსახურების საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 1 პროცენტის ოდენობით ყველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღის.

5.5 როუმინგული მომსახურების მიღებისას, მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია როუმინგ–პარტნიორი ოპერატორების ქსელის შესაძლებლობებზე და ოპერატორი ვერ იქნება პასუხისმგებელი მომსახურების ხარისხზე და უწყვეტობაზე. ბალანსის/ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, თუ შემსყიდველს არ შეეზღუდა მომსახურების მიწოდება, შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფასური. საქართველოს სასაზღვრო ზოლის სიახლოვეს ყოფნისას შემსყიდველის ტერმინალურმა მოწყობილობამ შესაძლოა ავტომატურად ისარგებლოს (იმ შემთხვევაში, თუ საბონენტო ნომერს ჩართული აქვს როუმინგული მომსახურება) უცხო ქვეყნის ოპერატორის მომსახურებით, რაც ასევე ითვლება როუმინგულ მომსახურებად და დაერიცხება შესაბამისი საფასური. ვინაიდან როუმინგული მომსახურების ტარიფების ცვლილება დამოკიდებულია როუმინგ-პარტნიორ ოპერატორებზე, დანართი N2-ით გათვალისწინებული ტარიფები შეიძლება შეიცვალოს.

5.6 გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისა, შემსყიდველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს, როგორც ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სახის დამატებითი მომსახურებით, აგრეთვე სხვა მომსახურების მიმწოდებლისაგან შეთავაზებული მომსახურებით. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მომსახურების მიღებისას მოქმედებს სტანდარტული ტარიფები (მოცემული მიმწოდებლის ვებ-გვერდზე) ან მიმწოდებლის მიერ საჯარო შეთავაზებით გათვალისწინებული პირობები, ხოლო სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების (მაგალითად: დაშვების კოდი) ან არასაკომუნიკაციო მომსახურების (მაგ. სპეც ნომრები, კონტენტის გამოწერა და ა.შ) მიმწოდებლების მომსახურების მიღებისას იმოქმედებს ამავე კომპანიების მიერ დადგენილი ტარიფები. აბონენტი პასუხისმგებელია საბონენტო მოწყობილობითა და საბონენტო მოწყობილობაში მოთავსებული/მიერთებული სიმ-ბარათით შესრულებულ მოქმედებებზე და ვალდებულია მისი საშუალებით შეკვეთილი მომსახურებების საფასურის გადახდაზე.

5.7 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კომუნიკაციების სფეროსათვის დამახასიათებელი არაკეთილსინდისიერი ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, მიიღებენ ყველა ზომას აღნიშნული ქმედების დროულად აღსაკვეთად. არაკეთილსინდისიერი ქმედების დროულად აღსაკვეთად მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდოს საბონენტო ნომერს მომსახურების მიწოდება, რის თაობაზეც აცნობებს შემსყიდველს. ხოლო შემსყიდველი მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების გაწყვეტის თაობაზე.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში 5.4 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შეფერხების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

6.2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) მობილური სატელეფონო მომსახურების საორიენტაციო ღირებულების 5% ოდენობით.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ანგარიშსწორების ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.4. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.5 ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ შეთანხმების როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ასევე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირებთან მიღებული ინფორმაციის გახმაურება.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სატენდერო კომისიას ან სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

9.3. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს მომსახურების შეფერხებაზე ან შეწყვეტაზე, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ისეთი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

9.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 3 მარტამდე.

შემსყიდველი:
სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის
საჯარო სკოლა
ბაღდათი, სოფელი ნერგეეთი
ს/კ 225065372
ბანკის კოდი: LBRTG22
ა/ა GE67LB0121113510000000
დირექტორის მ.შ მანანა გურგენაძე

მიმწოდებელი:
შპს „ჯეოსელი "
ქ. თბილისი, .: ქ. თბილისი, გოთუას ქ. #3
საიდ.კოდი: 203841940
სს "თიბისი ბანკი":
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE64TB0600000077467777
კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორი
მალხაზ ჟორჟიკაშვილი

BAGHDATI MUNICIPALITY VILLAGE NERGEETI PUBLIC SCHOOL 225065372

Corporate Sales

დანართი #1

ჯგუფების სახეობები და ანგარიშსწორება ჯგუფების მიხედვით

	თანამშრომლების ჯგუფი			GPRS VPN ჯგუფი	არათანამშრომლების ჯგუფი	
მომსახურების სახეობა	ულიმიტო	ლიმიტირებული	საავანსო	ლიმიტირებული	ორგანიზაციის სახელზე გაფორმებული ნომერი (გამონაკლისის შემთხვევაში)	ფიზიკურ პირზე გაფორმებული ნომერი
კორპორატიული ნომრიდან განხორციელებული ზარების საფასური და დამატებითი მომსახურება	ანგარიშსწორება კორპორატიულ მომსახურებაზე ხორციელდება შემსყიდველის მიერ შემდგომი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ მომსახურებაზე და თითოეულ კორპორატიულ ნომერზე ხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში შემსყიდველის მიერ შემდგომი გადახდის პირობით. მხარეთა მიერ შეთანხმებულ თანხაზე მეტი მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ მომსახურებაზე ხორციელდება შემსყიდველის/ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ მომსახურებაზე ხორციელდება შემსყიდველის მიერ შემდგომი გადახდის პირობით. მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში. წინასწარ შემნილი პაკეტის ამოწურვის შემთხვევაში 1 მეგაბაიტი ინფორმაციის მიღება/გაგზავნის ღირებულება შეადგენს 0.2 ლარს.	ანგარიშსწორება კორპორატიული ტარიფით განსაზღვრული თანხაზე განხორციელდება კორპორატიული ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა ნომერს ჩამოეჭრება ერთჯერადად ყოველ თვის დასაწყისში.	ანგარიშსწორება კორპორატიული ტარიფით განსაზღვრულ თანხაზ განხორციელდება ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა ნომერ ჩამოეჭრება ერთჯერადად ყოველ თვის დასაწყისში.

1. არათანამშრომლების ჯგუფში არსებული შემსყიდველის სახელზე გაფორმებული ნომრები სავალდებულოა გადაფორმდეს ფიზიკური პირის სახელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნომერი ვეღარ ისარგებლებს ზემოთხსენებული ხელშეკრულების პირობებით ნომრის გადაფორმებამდე (გარდა ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე გამონაკლისი შემთხვევებისა).

2. თანამშრომელთა ჯგუფში შედის მხოლოდ ის ნომრები, რომლებიც გაფორმებულია შემსყიდველზე და, რომლებზეც შემსყიდველი სრულად და/ან ნაწილობრივ იხდის გაწეული მომსახურების საფასურს, მათ შორის, იღებს ვალდებულებას გადაიხადოს 2011 წლის 24 ნოემბრის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „112"-ის შექმნის შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N489 დადგენილების და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N1073 ბრძანების საფუძველზე დაწესებული ,,112"-ის მომსახურების საფასური, ასეთის საჭიროების შემთხვევაში. ყველა სხვა სააბონენტო ნომერი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არ შედის თანამშრომელთა ჯგუფში და შესაბამისად მიეკუთვნება არათანამშრომლების ჯგუფს.

3. არათანამშრომლების ჯგუფის ნომრები, რომლებიც გაფორმებულია ფიზიკურ პირებზე (არიან მიმწოდებლის აბონენტები, მათ შორის პორტირებული აბონენტები), რომელთა აღნიშნულ ჯგუფში ჩართვას ახორციელებს მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. არათანამშრომლების ნომრებს, რომლებიც გაფორმებულია ფიზიკურ პირებზე ასევე უნდა ახლდეს მათი მფლობელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. შემსყიდველი უზრუნველყოფს ფიზიკური პირების თანხმობას აღნიშნული ჯგუფით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობაზე. ასევე შემსყიდველი იხსნის პასუხსმგებლობას ამ ჯგუფში არსებულ ნომრებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის, წარმოშობილი დავალიანების დაფარვაზე. ფიზიკურ პირებზე გაფორმებულ ნომრებზე ვრცელდება მიმწოდებლის სტანდარტული პირობა. როუმინგული მომსახურების ჩართვაზე, ხოლო როუმინგული მომსახურების ტარიფები მოცემულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის მიერ ატვირთულ სატენდერო წინადადებაში.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

Corporate Sales

-ii დანართი N2

ფიქსური სატელეფონო მომსახურების ძირითადი პირობები და ტარიფები				
№	სერვისი	ერთეული	მაქსიმალური ტარიფი (ლარი)	დამატებითი პირობა
1	სიმ–ბარათის ღირებულება		0	
1.1	ორნომრიანი სიმ–ბარათის ღირებულება		0	
1.2	სიმ–ბარათის შეცვლა/აღდგენის ღირებულება		0	
2	ფიქსირებული გადასახადი (VPN) თანამშრომლის შემთხვევაში	ერთ ნომერზე	0	
2.1	ფიქსირებული გადასახადი (VPN) არათანამშრომლის შემთხვევაში	ერთ ნომერზე	1	
3. სასაუბრო ტარიფები				
3.1	კორპორატიული აბონენტების საუბრები პროვაიდერი კომპანიის ქსელში კორპორატიულ აბონენტებთან	ერთი წუთი	0	
3.2	კორპორატიული აბონენტების საუბრები პროვაიდერი კომპანიის ქსელში არაკორპორატიულ აბონენტებთან	ერთი წუთი	0	ზარის წამოწყების ღირებულება 0.05 ლარი
3.3	კორპორატიული აბონენტების საუბრები პროვაიდერი ქსელის გარეთ სხვა მობილური ოპერატორების კორპორატიულ/არაკორპორატიულ აბონენტებთან	ერთი წუთი	0	ზარის წამოწყების ღირებულება 0.07 ლარი
3.4	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები Silknet S1-ის აბონენტებთან	ერთი წუთი	0.148	კანონმდებლობით ტარიფის შემცირების შემთხვევაში, მიმწოდებელმა შესაბამისად უნდა შეამციროს ამ პუნქტით გათვალისწინებული ტარიფი და პროვაიდერებს შორის ტარიფის გათანაბრების შემთხვევაში გაუტოლდეს ამ დანართის 3.3 პუნქტში არსებულ ტარიფს.
3.5	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები გლობალსელის აბონენტებთან	*ერთ წუთი	0.148	
3.6	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები ჯი-მობაილის აბონენტებთან	ერთი წუთი	0.148	
3.7	კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები ფიქსირებული ქსელების აბონენტებთან	ერთი წუთი	0.03	ზარის წამოწყების ღირებულება 0.03 ლარი
4. მოკლეტექსტური შეტყობინებები (SMS) ტარიფები				
4.1	SMS-ის ტარიფი პროვაიდერი კომპანიის კორპორატიული ქსელის შიგნით კვოტის ფარგლებში ყველა აბონენტისათვის	1 SMS	0	
4.2	SMS-ის ტარიფი პროვაიდერი კომპანიის ქსელში	1 SMS	0.01	
4.3	SMS-ის ტარიფი სხვა მობილურ ოპერატორების (მათ შორის საერთაშორისო) აბონენტებთან	1 SMS	0.01	გარდა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა
4.4	ჯგუფური SMS (BULK SMS)	1 SMS	0.0025	კონსოლიდირებულად 1 მილიონი და მეტი SMS სატენდერო წინადადების მოქმედების პერიოდში
4.5	SMS მდიანი	ერთი დღე	0.05	
5. როუმინგული მომსახურების პირობები				
5.1	როუმინგის აქტივაცია		0	
5.2	როუმინგის დეპოზიტის ოდენობა		0	
5.3	როუმინგის შემომავალი ზარი	ერთი წუთი	0.5	გარდა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა
6. მულტიმედია / ტარიფები				
6.1	GPRS-ის აქტივაცია		0	

6.2	GPRS	ერთი MB	0.2	
6.3	MMS სერვისის აქტივაცია		0	
6.4	MMS-ის გზავნილი	ერთი გზავნილი	0.05	
6.5	MMS-ის გზავნილი საზღვარგარეთ	ერთი გზავნილი	1	
6.6	ვიდეოზარისა და მობილური ტელევიზიის სერვისის აქტივაცია		0	
6.7	ვიდეოზარი	ერთი წუთი	0.24	
6.8	მობილური ტელევიზია	ერთი წუთი	0.1	
7. ინტერნეტ მომსახურების პირობები				
7.1	ინტერნეტის ჩართვა		0	
7.2	1 MB		0.2	3.5 მბ/წმ - 21 მბ/წმ
8	მოცულობითი პაკეტები			
8.1	30 MB		0.49	
8.2	50 MB		0.99	
8.3	500 MB		1.99	
8.4	1 GB		2.99	
8.5	5 GB		3.99	
8.6	15 GB		4.99	
8.7	SMS-ის ან ვებპორტალის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს ინტერნეტ პაკეტის ამოწურვის კონტროლი			ვადის ამოწურვისას, ახალი პაკეტის შეძენის შემთხვევაში, დარჩენილი (ძველი) ლიმიტის გააქტიურება
9. სხვა მომსახურების პირობები				
9.1	დაფარული ნომრის სერვისის აქტივაცია		0	
9.2	გამოტოვებული ზარების შეტყობინების აქტივაცია		0	
9.3	ნომრის ამომცნობი სერვისის აქტივაცია		0	
9.4	ბალანსის შემოწმება		0	
9.5	დეტალური ამონაბეჭდი		0	
9.6	დამრგვალება		1 წამი	
9.7	ნომრის გადაფორმება ორგანიზაციიდან კერძო პირზე და პირიქით		0	
10. GPRS VPN მომსახურება				
		მოცულობითი პაკეტი		
10.1	150 MB		3	
10.2	500 MB		5	
10.3	1 GB		7	
11.1	ბლექბერის სერვისი BIS	თვეში	14.5	
11.2	ბლექბერის სერვისი BES	თვეში	45	

საერთაშორისო გამავალი ზარების ტარიფები მობილურ და ფიქსირებულ ნომრებზე; როუმინგის შემთხვევაში გამავალი და შემავალი ზარების ტარიფები; SMS-ის საერთაშორისო ტარიფები, იხილეთ მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

Geocell LLC
ბიზნეს გაყიდვები
Corporate Sales